სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 23 0000190131

17/02/2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (ერასმუს+) ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/232 დადგენილების, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/233 დადგენილების და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის, ბატონ დევი ხვედელიანის 2023 წლის 18 იანვრის სამსახურებრივი ბარათის (43999) საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2022-2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო და 2023-2024 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში

(ერასმუს+) მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- **ლევან კლიმიაშვილი** – ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- **დავით მახვილაძე** - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- **დევი ხვედელიანი** - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- **დავით თავხელიძე** - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
- **თამარ წერეთელი** - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
- **გიორგი აბრამიშვილი** - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- **ბექა მაისურაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი/;
- შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/წარმომადგენელი.

2. დაევალოს კომისიას:

ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს კონკურსისთვის გამოცხადებულ ვადებში.

ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/232 და №№01-05-04/233 დადგენილებებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;

გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).



რექტორი
გურგენიძე დავით